პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 27 იანვარი, 1943 წ. № 21 (6646). ფასი 20 კაპ.

ჩვენმა ჯარებმა ძირითადად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია

ომების ისტორიას არ ახსოვს თანამედროვე სამხედრო ტექნიკით უაღრესად აღჭურვილი რეგულარული ჯარების ესოდენ დიდი რაოდენობის გარშემორტყმისა და მოსპობის მსგავსი მაგალითები.

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა ძირითადად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია

დონის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ შეტევას განაგრძობდნენ, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გადალახეს მოწინააღმდეგის მრავალი მძლავრი ხიმაგრე და ძირითადად დაამთავრეს გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაცია.

წინათ გამოქვეყნებული ცნობების დამატებით, 17-დან 26 იანვრამდე წარმოებული ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს თავდაცვის მნიშვნელოვანი გამაგრებული კვანძები: პესჩანკა, კუპოროსნოე, საბჭოთა მეურნეობა „გორნაია პოლიანა“, ბოლშაია როსოშკა, ხუტორი გონჩარა, დამხმარე მეურნეობა, ორლოვკა, გოროდიშჩე, კუზმიჩი, საბჭოთა მეურნეობა „ოპიტნოე პოლე“, ხუტორი ბოროდკინი, შიშლიანკინი, ნოვაია ნადეჟდა, უვაროვკა, ალექსანდროვკა, კამენნი ბუერაკი, სტალინგრადსკი, საცდელი სადგური, სტუდიონაია იაბლონოვკა, ალექსეევკა, ვერხნიაია ელშანკა, ნიჟნიაია ელშანკა, სტაროდუბოვკა, ზელიონაია პოლიანა, პოლიაკოვკა, ლესო-პოსადოჩნაია, კულტსტანი და რკინიგზის **სადგურები** და ასაქცევები **ვოროპონოვო, ელშანკა, დრევნი ვალი, კონნი, რაზგულიაევკა, გუმრაკი, სადოვაია.**

გარდა ამისა, ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა საარტილერიო, სანაღმმტყორცნო და მესანგრეთა ნაწილებმა დაანგრიეს 620 გამაგრებული კვანძი და ბლინდაჟი, 40 მკვიდრად მოწყობილი სათვალთვალო პუნქტი, მოსპეს და ჩაახშეს მოწინააღმდეგის 220 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარია.

მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია 835 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.

სულ სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ დაწყებული გენერალური იერიშიდან 10-დან 26 იანვრამდე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს გერმანელების მიერ ძალზე გამაგრებული და თავდაცვის კვანძებად გადაქცეული 60 დასახლებული პუნქტი, 9 რკინიგზის სადგური, დაანგრიეს 2.146 ძელმიწური და ბლინდაჟი, 115 მკვიდრად მოწყობილი სათვალთვალო პუნქტი, მოსპეს და ჩაახშეს მოწინააღმდეგის 537 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარია.

მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია 1.400 კვადრატული კილომეტრი ფართობი ტერიტორია.

პირდაპირი მოძრაობისათვის განთავისუფლებულია რკინიგზები: სტალინგრადი-პოვორინო, სტალინგრადი-ტაცინსკაია, სტალინგრადი-ხალსკი.

გარშემორტყმული მტრის ნაწილების წინააღმდეგ გენერალური იერიშის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 28.000 და მოსპეს 40.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჯერ კიდევ არალიკვიდირებული დარჩა მოწინააღმდეგის ორი დაქსაქსული და ერთიმეორისაგან იზოლირებული მცირე ჯგუფი, რომელთა საერთო რიცხვი 12.000 კაცს არ აღემატება; ერთი ამ ჯგუფთაგანი იმყოფება სტალინგრადის ჩრდილოეთით და მეორე—უფრო ახლოს სტალინგრადის ცენტრალურ ნაწილთან. მოწინააღმდეგის ორივე ეს ჯგუფი განწირულია და მათი ლიკვიდაცია ორი-სამი დღის საკითხია.

ამავე ხნის განმავლობაში, წინასწარი ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 523 თვითმფრინავი, 1.297 ტანკი, 2.978 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 904 ნაღმსატყორცნი, 4.870 ტყვიამფრქვევი, 45.000 შაშხანა, 49.000 ავტომანქანა, 4.660 მოტოციკლი, 229 საწყვარი და ტრანსპორტერი, 4.570 საზიდარი სამხედრო ქონებიანად, 170 რადიოსადგური, 3 ჯავშნიანი მატარებელი, 42 ორთქლმავალი, 230 ვაგონი, 160 საწყობი საომარ მასალიანად და საჭურვლიანად და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება.

მოსპობილია: 132 თვითმფრინავი, 290 ტანკი, 315 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 950 ტყვიამფრქვევი, 1.970 ავტომანქანა, 43 სხვადასხვა საწყობი.

ამრიგად, წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმა გერმანელ ფაშისტთა რჩეული ჯარების დიდი დაჯგუფების გარშემორტყმისა და ლიკვიდაციისა ძირითადად განხორციელებულია.

ომების ისტორიას არ ახსოვს თანამედროვე სამხედრო ტექნიკით უაღრესად აღჭურვილი რეგულარული ჯარების ესოდენ დიდი რაოდენობის გარშემორტყმისა და მოსპობის მსგავსი მაგალითები.

სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმულ გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია განახორციელეს დონის ფრონტის ძალებმა გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. კ. კ. როკოსოვსკისა და მისი **შტაბის** უფროსის **გენერალ-ლეიტენანტ ამხ. მ. ს. მალინინის** მეთაურობით. **საარტილერიო შეტევას ხელმძღვანელობდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი არტილერიის მარშალი ამხ. ნ. ნ. ვორონოვი,** ხოლო **ავიაციის** მოქმედებას **ხელმძღვანელობდნენ ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. ა. ა. ნოვიკოვი** და **ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ამხ. ა. ე. გოლოვანოვი.**

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ი. მ. ჩისტიაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ფ. ი. ტოლბუხინის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. პ. ი. ბატოვის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. მ. ს. შუმილოვის, გენერალ-მაიორ ამხ. ი. ვ. გალანინის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ვ. ი. ჩუიკოვის, გენერალ-მაიორ ამხ. ა. ს. შადრინის ჯარებმა და ავიაციის გენერალ-მაიორ ამხ. ს. ი. რუდენკოს ავიანაწილებმა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. სტენდლი და დიდი ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ლ. ბაგალეი

26 იანვარს საღამოს კრემლში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანადასწრებით მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. სტენდლი და დიდი ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ლ. ბაგალეი.

გერმანელთა მხეცობანი ჩრდილოეთ კავკასიაში

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი. გერმანელი ოკუპანტების მიერ დახოცილ ქ. პიატიგორსკის მცხოვრებთა გვამები. ნათესავები ეძებენ დახოცილ მახლობელთა გვამებს.

ფოტო — მ. ალპერტისა (საკადრის ფოტოქრონიკა).

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ღრმადპატივცემულო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით და ღვთის წყალობით წითელი არმია ძლევამოსილად ანადგურებს სისხლისმსმელ საძულველ მტერს და ჩვენი წმიდა მიწა-წყლიდან ერეკება მას. წითელი არმიის რიგებში სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად გმირულად ებრძვიან ჩვენი სამშობლოს მტრებს სომეხი ხალხის შვილებიც.

ვასრულებ რა ჩემს მოვალეობას სამშობლოს წინაშე, ვევედრები უზენაესს, რათა გამარჯვება მიანიჭოს საბჭოთა იარაღს, და სახელოვანი წითელი არმიის ძლიერების კიდევ უფრო გასადიდებლად და მტრის საბოლოო განადგურების დასაჩქარებლად ეჩმიაძინის კათოლიკოსატს შეაქვს დავით სასუნელის სახელობის სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში ბრილიანტებით მორთული ძვირფასი პანაღია და პლატინისა და ბრილიანტის სხვა ძვირფასი ნივთები 800.000 მანეთის საერთო ღირებულებისა, 1.000 ინგლისური გირვანქა სტერლინგი და 50.000 მანეთი.

გთხოვთ თქვენს განკარგულებას, რათა სპეციალური ანგარიში გაიხსნას სსრ კავშირის სახბანკში.

სპეციალურ მიმართვასთან ერთად მოვუწოდებ ყველა მორწმუნე სომეხს მონაწილეობა მიიღონ თავიანთი დანაზოგით დავით სასუნელის სახელობის სატანკო კოლონის აგებაში. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთელი სომხებიც გამოეხმაურებიან ჩვენს მოძღვრულ მოწოდებას, როგორც ომის დაწყებისას გამოეხმაურნენ ჩვენს მიმართვას და სომეხთა ყველა კოლონიაში მოაწყეს წითელი არმიისა და დაზარალებული მოსახლეობისადმი დახმარების კომიტეტები, რომლებმაც შეაგროვეს და გამოგზავნეს 15.000-ზე მეტი დოლარი და ახლაც განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მიიღეთ ჩვენი ლოცვა-კურთხევა და მორწმუნე სომეხთა და სამღვდელოების სალამი.

ხალხის მიერ არჩეული მოადგილე ყველა სომეხთა კათოლიკოსისა
არქიეპისკოპოსი **გევორგ ჩეორეჟჩიანი.**

ერევანი. ყველა სომეხთა კათოლიკოსის მოადგილეს არქიეპისკოპოს
გევორგ ჩეორეჟჩიანს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა მორწმუნე სომხებსა და ხამდგდელოებას ეჩმიაძინის კათოლიკოსატისას, რომელმაც შეიტანა სახსრები დავით სასუნელის სახელობის სატანკო კოლონის ასაგებად.

მითითება სსრ კავშირის სახბანკში სპეციალური ანგარიშის გახსნის შესახებ გაცემულია.

ი. სტალინი

ნ არმია. მოროზოვს, კოღესნიკოვს, გაჩშინს, სპირიდონოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ნ არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 11.149.418 მანეთი შეაგროვეს წითელი არმიისათვის საჭურვლის დასამზადებლად.

ი. სტალინი

გვარდიის 1-ლი საკავალერიო კორპუსი
კორპუსის მეთაურს გვარდიის გენერალ-მაიორ ბარანოვს
კორპუსის მეთაურის მოადგილეს პოლკოვნიკ მიროსლავსკის
კორპუსის პოლიტგანყოფილების უფროსს გვარდიის პოლკის კომისარ კარევს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა გვარდიის 1-ლი საკავალერიო კორპუსის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 3.500.000 მანეთი შეაგროვეს სსრ კავშირის ცხენოსანი გვარდიისათვის საბრძოლო ცხენების შესაძენად.

ი. სტალინი

ნ არმია. ამხანაგებს პოღენოვს, რუსკიხს და მიშენევს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ნ არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 5 მილიონი მანეთი შეაგროვეს სსრ კავშირის თავდაცვის ფონდისათვის და დამატებით შეაგროვეს 3.500.000 მანეთი სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავების ასაგებად.

ი. სტალინი

გენერალ-მაიორ ჩერნიახოვსკის, გენერალ-ლეიტენანტ ზაპოროჟეცს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ნ არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც შეაგროვეს 6.312.720 მანეთი და 390 მანეთი ვერცხლით სატანკო კოლონისა და თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებად.

ი. სტალინი

ნ არმია. ამხანაგებს ჩერეპანოვს, კუროჩკინს, ხანჭინს, ზეონოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ნ არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 5.500.000 მანეთი შეაგროვეს ტანკებისა და თვითმფრინავების ასაგებად.

ი. სტალინი

ნ არმია. ამხანაგებს გერასიმენკოსა და მელნიკოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ნ არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 5.195.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „საბჭოთა სამშობლოსათვის“ ასაგებად.

ი. სტალინი

ლენინგრადისადმი ციმბირელთა დახმარების კვირეული

ნოვოსიბირსკი, 24 იანვარი (საკადრის). ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის სასიხარულო ამბავს აქ არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით შეხვდნენ. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია გამსჭვალული არიან მისწრაფებით დაეხმარონ გმირულ ქალაქს სურსათით, სათბობით—ყველაფრით, რითაც მდიდარია ციმბირი.

ნოვოსიბირსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ნოვაია ეიზნის“ კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს გაუგზავნონ ლენინის ქალაქის დამცველებს 20 სული რქიანი მსხვილფეხა საქონელი, 10 ღორი, 120 ფუთი თამბაქო. მათ მოწოდებით მიმართეს ყველა ციმბირელ კოლმეურნეს—24 იანვრიდან 1 თებერვლამდე ჩაატარონ ლენინგრადისადმი დახმარების კვირეული.

ერთ-ერთი თავდაცვითი ქარხნის კოლექტივმა იკისრა გმირული ქალაქისათვის დახმარების აღმოჩენის კვირეულის განმავლობაში ყოველდღე გეგმის გადამეტებით გამოუშვას პროდუქცია. გადაწყვეტილია აგრეთვე ამ კვირეულში შეაგროვონ ერთი მილიონ მანეთი ლენინგრადის ფრონტისათვის ესკადრილიის ასაგებად.

„პროკოპიევსკუგოლის“ ტრესტის, შახტ „ზიმინკის“ მაღაროელები გზავნიან ქვანახშირის პირველ ეშელონს, რომელიც გეგმის გადამეტებით არის ამოღებული.

კეთილშობილური თაოსნობა კოლმეურნეებისა და მუშებისა, რომელთაც გადასწყვიტეს ჩაატარონ ლენინგრადისათვის გაძლიერებული დახმარების კვირეული, ბევრმა საწარმომ და კოლმეურნეობამ გაიზიარა.

შეჯვეა გრძელდება

მოქმედი არმია, 24 იანვარი (საკადრის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ჯარები განაგრძობენ ბრძოლებით წინსვლას და მტრის უკუგდებას, რომელიც მათ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს. გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულია ახალი დასახლებული პუნქტები. გერმანელთა ზარალი განსაკუთრებით დიდია იქ, სადაც ისინი ცდილობენ კონტრიერიშებით შეაჩერონ ჩვენი შეტევა.

დღეს ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი სტაროობელსკი. განსაკუთრებით შეუპოვარი შეტაკებანი გაჩაღდა ქალაქის აღმოსავლეთ განაპირა უბანში, რომელიც გერმანელებს წინააღმდეგობის მძლავრ კვანძად ჰქონდათ გადაქცეული. ჭეჩის ბრძოლებში წითელარმიელებმა გამოიჩინეს განსაკუთრებული მამაცობა, მტრის ძელმიწური საცეცხლე წერტილების ბლოკირებისა და მათი მალე ჩახშობის უნარი. ჩვენი ნაწილები ქალაქს ფაშისტი დამპყრობლებისაგან ათავისუფლებდნენ სახლობით და უბნობით.

ქვეითს ჯართან უნარიანად თანამოქმედებენ არტილერისტები. ათი დღის ბრძოლების განმავლობაში ერთი ნაწილის საქვემეხო გუნდებმა გასწყვიტეს 2.500-ზე მეტი ჰიტლერელი, მოსპეს 40 ტანკი, 4 ჯავშნიანი მანქანა, 18 ავტომანქანა და 4 თვითმფრინავი.

დღეს ფრონტზე გავიცელდა ამბავი უფროს ლეიტენანტ სტანოვოის ტანკის ეკიპაჟის საგმირო საქმის შესახებ. ტანკი მთელი სისწრაფით შეიჭრა ფაშისტთა მიერ დაკავებულ სოფელში. ტანკის მუხლუხებითა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპობილ იქნა რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი.

მოწინააღმდეგემ ერთ-ერთ ქოხში საფარი ეძიაწყო. როცა გამოჩნდა ჩვენი მანქანა, რომელიც ყველაფერს სპობდა თავის გზაზე, ფაშისტებმა ორი ტანკსწინააღმდეგო ქვემეხის სროლა ასტეხეს. ყუმბარა ბენზინის ავზს მოხვდა და ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. უფროსი ლეიტენანტი ცეცხლწაკიდებული ტანკიდან შეიჭრა სახლში, სადაც ფაშისტები იყვნენ ჩასაფრებული. ჰიტლერელები შენობის ნანგრევებში დაიმარხნენ.

როცა ცეცხლწაკიდებულ ტანკში დარჩენა შეუძლებელი იყო, ეკიპაჟმა დასტოვა მანქანა. ხუთმა ტანკისტმა ბრძოლა გაუმართა 30 ჰიტლერელს. მამაცთა სიკვდილით დაიღუპნენ მექანიკოსი-წამყვანი, მეკოშკური მსროლელი, რადისტი და ქვემეხის მეთაური. მათ ძვირად დაუსვეს მტერს თავისი სიცოცხლე. ათზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი გაქლეტილ იქნა ეთანასწორო შეტაკებაში. მტრის ტყვეთ დაეჭრა უფროსი ლეიტენანტი სტანოვოი, გერმანელებმა ბენზინი გადაასხეს მას და ცეცხლი წაუკიდეს. ადგილობრივი მცხოვრებნი გვიამბობენ, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთს მამაცმა მეომარმა შესძახა ჯალათებს:

„თქვენ თავს ვერ დაიწვევთ სიკვდილს, ამხანაგები შურს იძიებენ ჩემთვის!“

მალე სოფელი განთავისუფლებულ იქნა ფაშისტებისაგან. ვერც ერთი ჰიტლერელი ვერ გადაურჩა ჩვენი მებრძოლების შურისძიებას, რომლებმაც სამაგიერო გადაუხადეს მტერს მამაცი ტანკისტების დახოცვისათვის.

ზ. ლიპავსკი

დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი
წითელი არმიის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობისათვის
სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოთ წითელი არმიის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის ქვემოდასახელებულ პირთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი:

გენერალ-მაიორის წოდება

ივანე ვასილის-ძე **ვასილიევს**
ბორის ნიკიტას-ძე **არშინცევს**
ანდრია პავლეს-ძე **კარნოვს**
ალექსანდრე პეტრეს-ძე **კვაშნინს**
ნესტერ დიმიტრის-ძე **კოზინს**

სატანკო ჯარების გენერალ-მაიორის წოდება

სერგი ფროლის-ძე **მაქსიმოვს**

ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება

ფილიპე ივანეს-ძე **ბრაგინს**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი.
1943 წლის 23 იანვარი.

ავაგოთ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“

ამხ. ვ. თოხაძემ 120.000 მანეთი შეიტანა

დუშეთის რაიონის სოფ. მლეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვიქტორ თოხაძემ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად ფონდში 19 იანვარს შეიტანა 120.000 მანეთი.

ნ. ხეთაგური

3.000.000 მანეთი საბრძოლო მანქანების ასაგებად

სამტრედია (ტელეგრაფით). უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს სახსრების შეგროვება საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების ასაგებად. 24 იანვრისათვის სამტრედიის რაიონის მშრომელების მიერ სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში შეტანილი იყო 3.000.000 მანეთი. ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიტანეს 100.000 მანეთი, ზედა-ეწერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 70.000 მანეთი, სოფ. იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა—70.000 მანეთი; ასევე დიდი თანხა შეიტანეს სოფ. მელაურის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

საორთქლმავლო დეპოს მუშაკებმა შეიტანეს 75.000 მანეთი, ძაფსაღები ფაბრიკის მუშაკებმა—40.000 მანეთი, სამანქანო დისტანციის თანამშრომლებმა — 30.000 მანეთი, საქვაბრობის ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლებმა—31.000 მანეთი. რაიონის ინტელიგენციამ შეაგროვა 250.000 მანეთი, აქედან ექიმებმა—80.000 მანეთი, გაიოზ ჯავარიშვილმა შეიტანა 10.000 მანეთი, მასწავლებლებმა შეაგროვეს 150.000 მანეთი, მოსწავლეებმა ე. კჩეიშვილმა, დ. ქართველიშვილმა, ქ. სტურუამ, პ. მიქაძემ ორ-ორი ათასი მანეთი თითოეულმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. კობრეიძემ 4.000 მანეთი შეიტანა. სახსრების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის
მდივანი ბაბუნია

2.648.000 მანეთი

ქობულეთი (ტელეგრაფით). ხალხთა სუყვარელი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მისალმებით აღფრთოვანებულმა ქობულეთის რაიონის მშრომელებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობისათვის შეიტანეს 2.648.000 მანეთი. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიტანეს 150.000 მანეთი, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა—128.000 მანეთი, სტახანოველმა კოლმეურნემ ხატიჯე ეკაკაძემ სატანკო კოლონისა და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების მშენებლობის ფონდში შეიტანა 18.500 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი
შ. ჭანუსვაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ქ. მეგრელიძე

500.000 მანეთი

ზემო ტყვიავი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზემო ტყვიავის კოლმეურნეობის წევრებმა ავიაესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად გაიღეს 188.000 მანეთი, სოფ. ქერეს კოლმეურნეებმა — 100.000 მანეთი, სოფ. ფლავის კოლმეურნეებმა — 93.000 მანეთი, სოფ. ქვემო ტყვიავის კოლმეურნეებმა — 44.000 მანეთი.

ზემო ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. პაველიაშვილმა შეიტანა 11.060 მანეთი, მოანგარიშე ს. ხადურმა — 7.000 მან., კოლმეურნე ა. გოგუაშვილმა — 2.800 მან., კ. დალაქიშვილმა — 2.100 მან., ი. გოგუაშვილმა — 1.800 მანეთი.

ქვემო ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. სოესელმა გაიღო 5.020 მანეთი, ამ კოლმეურნეობის წევრმა გ. ნადიბოვმა — 2.720 მან., ტ. ქარელმა — 1.620 მან., გ. ქარელმა — 1.350 მანეთი.

სოფ. ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გოგშელიძემ შეიტანა 5.200 მანეთი, კოლმეურნე ბ. ჯავახიშვილმა — 4.000 მან., ალ. უთნელიშვილმა — 1.650 მან., გ. ჭუჯაშვილმა — 2.460 მან., დ. გოგშელიძემ — 2.340 მანეთი. სულ ტყვიავის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობათა წევრებმა ესკადრილიების ასაგებად შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შეიტანეს 500.000 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

შ. ჩუბინიძე

1.007.525 მანეთი

თელავის რაიონის მშრომელებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში შეიტანეს 1.007.525 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი
ალ. ხუჯაძე

საბრძოლო თვითმფრინავების ასაგებად

ქარელი (ტელეგრაფით). ქარელის რაიონის მშრომელებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებ ფონდში ერთი დღის განმავლობაში შეიტანეს 253.000 მანეთი.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი
დევიძე

კაჭრიოფული აღფრთოვანებით

საჩხერე (ტელეგრაფით). უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით მიმდინარეობს სახსრების შეგროვება საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობისათვის. 25 იანვრისათვის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში შეიტანეს 1.136.000 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მდივანი
ქარჩხაძე

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა

№ 172 საარტილერიო ქარხნის კოლექტივის თაოსნობამ უდიდესი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. თბილისის უნაგირების ფაბრიკის სტახანოველები თავდადებული შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ. ყოფილმა დიასახლისებმა—მოტორზე მომუშავე ელენე ღუდუშაურმა, მარია ბიდბუნოვამ, ლიუსია შაინიანმა, ნადეჟდა პირიევამ იანვარში უმოკლეს ვადაში აითვისეს ერთ-ერთი სამხედრო პროდუქციის დამზადება, დღითი-დღე აღიდებენ შრომის ნაყოფიერებას და ცვლაში სულ ცოტა 2-2,5 ნორმას იძლევიან.

შრომის სტახანოვური მაჩვენებლებით ხვდებიან გმირი წითელი არმიის XXV წლისთავს გამომჭრელები ამხ. დანიშევსკი, შმალცი, გიორგობიანი. ისინი მასალას ახალი მეთოდით ჭრიან და 15-20 პროცენტ ეკონომიას იძლევიან.

გამომჭრელები ამხ. კორეეევი, საფაროვი და ასკაროვი, რომლებიც სპეციალური დაკვეთების გამოშვებაზე მუშაობენ, 400-500 პროცენტით ასრულებენ დავალებას.

გასულ წელს ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით 886 ათასი მანეთის (უცვლელ ფასებში) საერთო პროდუქცია გამოუშვა. ფაბრიკის კოლექტივი წითელი არმიის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და ვალდებულება იკისრა ვადამდე — 23 თებერვლისათვის შეასრულოს იანვრისა და თებერვლის გეგმები, 0,5 პროცენტით შეამციროს სპეციალური დაკვეთების ნაწარმთა თვითღირებულება და თებერვალში 2 პროცენტით გაადიდოს მასალების ეკონომია. (საქდესი).

გორელ მეკონსერვეთა წარმატება

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კამოს სახელობის გორის საკონსერვო ქარხანაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ქარხნის მუშათა კოლექტივმა მოლოტოველთა მოწოდების საპასუხოდ იკისრა ახალი საწარმოო ვალდებულებები.

სოცშეჯიბრების შედეგად ქარხნის კოლექტივმა იანვრის საწარმოო გეგმა ვადაზე 10 დღით ადრე 106 პროცენტით შეასრულა. გეგმის შესრულებაში, თავი ისახელეს ალავერდაშვილის, ასკილაშვილის, ვანიშვილის და სხვ. ბრიგადებმა.

პროფკავშირულ-კომკავშირული სათხილამურო კროსი

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 14 თებერვლიდან 1 მარტამდე ტარდება პროფკავშირულ-კომკავშირული სათხილამურო კროსი, მიძღვნილი წითელი არმიის XXV წლისთავისადმი.

შეჯიბრების პროგრამით ჭაბუკებმა თხილამურით უნდა გაირბინონ 3 კილომეტრი მანძილი, ქალიშვილებმა — 2 კილომეტრი „იმშთ“ პირობების მიხედვით. მამაკაცებისათვის დამტკიცებულია 10 კილომეტრი მანძილი „მშთ“ პირველი და მეორე საფეხურის კომპლექსის პირობების მიხედვით. ქალებისათვის 3 კილომეტრი „მშთ“ პირველი საფეხურის პირობების მიხედვით და 5 კილომეტრი „მშთ“ მე-2 საფეხურის პირობების მიხედვით.

ვინც კროსში გამარჯვებას მოიპოვებს, დაჯილდოებული იქნება საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის, პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს, სსრ კავშირის საბკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის, რსფსრ განსახკომის და სსრ კავშირის საბკომსაბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშებით. (საკადრის).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის—მშრომელთა დეპუტატების გეგეჭკორის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
ამხ. კალისტრატე ალექსანდრეს-ძე ფალავას
უდროოდ გარდაცვალებას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 იანვრის დილის ცნობა

25 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები სტალინგრადზე და ვორონეჟის რაიონში, ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის ქვემოწელისა და სევერნი დონეცის რაიონში და ლადოგის ტბის სამხრეთით განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგესთან გაფთრებული ბრძოლის შედეგად დაიკავეს ერთი დასახლებული პუნქტი. ხელთ ვიგდეთ 8 ქვემეხი, 19 ტყვიამფრქვევი, 3 ექსულელიანი ნაღმსატყორცნი, 280 შაშხანა, 31 ავტომატი, 12 ავტომანქანა, საომარი მასალების საწყობი და სხვა დავლა. სხვა უბანზე მოგერიებულია მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის კონტრიერიში. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი და გერმანელთა 3 დაზიანებული ტანკი.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები გადაგრძობდნენ წინსვლას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. 5 ნაწილმა ჰიტლერელებისაგან გათავისუფლა საბჭოთა მეურნეობა „კრასნოარმეეცი". ბრძოლაში ხელთ ვიგდეთ 15 ნაღმსატყორცნი, 10 ტყვიამფრქვევი, 100-ზე მეტი შაშხანა, სასურსათო საწყობი და საომარი მასალების საწყობი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მაღლობები დაიკავეს. ჰიტლერელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და არაერთხელ გადმოვიდნენ კონტრიერიშებზე. ყველა კონტრიერიშში მოგერიებულია, ჯასთან მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა.

* * *

ვორონეჟის ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ჩვენი ტანკისტები გარშემოერტყნენ და მოსპეს მოწინააღმდეგის ჯარების ჯგუფი. რომელმაც უარი სთქვა იარაღის დაყრაზე. 5 ნაწილის მებრძოლებმა იერიშით დაიკავეს გერმანელთა მაგრ ძლიერ გამაგრებული პუნქტი. დანგრეულია 18 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 9 ბლინდაჟი. დასახლებული პუნქტის მისადგომებზე და მის ქუჩებში დათვლილია მტრის 350-მდე გვამი. ხელთ ვიგდეთ 3 ტანკი, 7 ქვემეხი და ორი სასურსათო საწყობი.

* * *

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 5 ნაწილის გვარდიელი კავალერისტები უეცრად დაესხნენ თავს მტრის კოლონას და აჭუჭეს მოწინააღმდეგის ორი ასეული ქვეითი ჯარი. ჩვენმა შეაერთმა წინწაიწია და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა. წამოყვანილია 130 ტყვე; ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა. მარტო ერთ დასახლებულ პუნქტში ხელთ ვიგდეთ 14 ქვემეხი, 52 ავტომანქანა, 7 ტრანსპორტიორი, 5 საწყობი, საომარი მასალების საწყობი და სამრაგო ნაწილების საწყობი.

* * *

როსტოველი პარტიზანების რაზმმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გაულტა მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანებმა მოსპეს 24 ავტომანქანა და 6 საზიდარი. საომარმასალიანად, ექსულელიანი ნაღმსატყორცნი, ტანკსწინააღმდეგო ქვემეხი და დასწვეს 25 ტონა საწვავი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 2 ტყვიამფრქვევი, 100-ზე მეტი შაშხანა და 25.000 ვაზნა. გარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა გერმანელებს წაართვეს ჰიტლერელთა მიერ კოლექტურნეობებში მოტაცებული და მოსახლეობისათვის წართმეული 1.200 სული რქიანი პირუტყვი და 3.500 ცხვარი.

* * *

ქვემოთ ვაქვეყნებთ აქტს გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ სტალინგრადის ოლქის ხუტორ ნიჟნეკალინოვკაში ჩადენილი ძარცვა-გლეჯისა და მზეცობის შესახებ: „გერმანელმა დამპყრობლებმა გაძარცვეს ხუტორის კოლმეურნეობა და მცხოვრებნი. ჰიტლერელებმა კოლმეურნეებს წაართვეს მთელი სურსათი და პირადი ნივთები. კოლმეურნე ელისაბედ კომაროვას გერმანელებმა წაართვეს ძროხა, ორი თხა, ათი ქათამი და ორი ტომარა მარცვლეული. კოლმეურნეებს—პეტრე სიმონოვს, ფეოდოსია ბურიკოვას, მარიამ აგულცევასა და სხვებს მათ წაართვეს ძროხები და ხბოები. ჰიტლერელი ბანდიტები იერეგოდნენ სახლებში და ძალით ართმევდნენ თბილ ნივთებსა და ძვირფასეულობას. მართა პონომარიოვასა და პელაგია ფასტოვას გერმანელებმა მთელი ქონება გადაუქექეს და წაიღეს ჩემოდანი თეთრეული. საკერი მანქანა, ჯიბის საათი და ოქროს ბეჭედი. შუა შემოდგომაზე გერმანელებმა გამოასახლეს კოლმეურნეები და თვითონ დაიკავეს მათი სახლები. გაქცევამდე ცოტა ხნით ადრე მათ დასწვეს სოფლის საბჭოს შენობა. კოლმეურნეობის გამგეობის სახლი, სკოლა, 4 საკოლმეურნეო ბეღელი, თავლა, კოლმეურნეთა 20 სახლი და სხვა ნაგებობანი.

ოთხ ხანგრძლივ თვეს ვიტანჯებოდით ჩვენ ფაშისტების ტყვეობაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ სასიკვდილოდ განწირულად ვგრძნობდით თავს. ნათელ მზესავით მოველოდით ჩვენს განმათავისუფლებელს—წითელ არმიას, ბოლოს ეს დღეც დადგა. წითელი არმია შუტს იძიებს ფაშისტ ყაჩაღებზე მთელი ჩვენი „წამებისათვის". აქტს ხელს აწერენ: პ. პოლიაკოვა, პ. სიმონოვი, ა. სატჩიკოვა, ზ. მაქსიმოვა, მ. ნედომერკოვა, ვ. ვოდოლაზოვა, ა. სისოევა, ა. კოტელნიკოვა, ფ. ზორინა, მ. გულცევა, მ. ბორისოვა, ა. გუშევა და სხვა კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები.

* * *

ბელგიელმა პატრიოტებმა ანტვერპენში რამდენიმე ბომბი შეაგდეს გერმანელთა გარაჟში. გაჩნდა ხანძარი, რომელმაც 20-ზე მეტი ავტომანქანა მოსპო, მეზელნის რაიონში ლიანდაგიდან გადაგდეს გერმანელთა სამხედრო ეშელონი. არასრული ცნობებით, ბელგიელმა რკინიგზელებმა უკანასკნელი თვის განმავლობაში მწყობრიდან გამოიყვანეს 63 ორთქლმავალი.

26 იანვრის საღამოს ცნობა

ლონის ფრონტის ჯარებმა, განაგრძობდნენ **რა** შეტევას სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ, გაფთრებული ბრძოლების შემდეგ გადალახეს მოწინააღმდეგის მრავალი მძლავრი სიმაგრე და ძირითადად დამთავრეს რშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაცია. ჯერ კიდევ არალიკვიდირებული **დარა** მოწინააღმდეგის ორი დაშალული და ერთიმეორისაგან იზოლირებული ჯგუფი, **რომელთა** საერთო რიცხვი 12.000 კაცს არ აღემატება; ერთი ამ ჯგუფთაგანი სტალინგრადის ჩრდილოეთით იმყოფება და მეორე—უფრო ახლოს სტალინგრადის ცენტრალურ ნაწილთან. მოწინააღმდეგის ორივე ეს ჯგუფი ვანწირულ და მათი ლიკვიდაცია ორი-სამი **დღის საკითხია.**

26 იანვარს **სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, ვოლნოვიხა და ლენინგრადის ფრონტების** ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

25 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 10 ტანკი, 200-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაანშეს 11 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, აააფეთქეს 8 საწყობი საომარი მასალა, დაამტვრიეს რკინიგზის ეშელონი, გაპფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ხოლო ცალკეულ უბნებზე იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ახლად მოსული რეზერვების კონტრიერიშებს. ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში 5 შენაერთის მებრძოლებმა მოიგერიეს გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების ორი გაფთრებული კონტრიერიშები. ჩვენმა მებრძოლებმა დაახიანეს და დასწვეს გერმანელთა 14 ტანკი.

სამგზავრო მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მერე არმია განაგრძობდა წინსვლას და ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე დაიკავა პუნქტი ეზ-ზაგია, რომელიც მდებარეობს 30 მილზე ტრიპოლის დასავლეთით.

რეიტერის საგენტოს ცნობით, ღერძის სახელმწიფოები ჯერ კიდევ ცდილობენ მომარაგების ბაზად გამოიყენონ მეთევზეთა პატარა ნავსადგური ზუარა, რომელიც ტრიპოლის დასავლეთით 60 მილზე მდებარეობს. მაგრამ ეს ნავსადგური სრულიად არ შეესაბამება ასეთ მიზნებს. გარდა ამისა, მას დღისითაც და ღამითაც თავს ესხმის მოკავშირეთა ავიაცია.

როგორც ფიქრობენ, რომელი, ალბათ, მარეტის ხაზთან შეჩერდება, რათა შეეცადოს გადაჯგუფოს იქ თავისი ჯარები. მარეტის ხაზს აქვს თაღის ფორმა, რომელიც სანაპიროდან სამხრეთით ქსურის მთებამდე მიდის. ეს ადგილი ყველაზე ძლიერ გასავლელ უბანს წარმოადგენს. მაღალი უწყლო ტაფობები აქ ხრამებით არის დასერილი.

რომელის ჯარებმა, რომლებმაც სწრაფად დაიხიეს უკან, ბევრი სავსებით გამოსადეგი ნაგებობა და საომარი მასალა დასტოვეს ტრიპოლში. ქალაქის დაკავებისთანავე ნავსადგურში აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. ახლა უკვე სავსებით გაწმენდილია ნავმისაბმელი და ნავსადგურის ნაგებობანი.

მოწინააღმდეგის ავიაცია სტოვებს ტრიპოლიტანიის უკანასკნელ აეროდრომებს, რომლებიც დარჩენილი იყო მის ხელში.

ნიუ-იორკი, 26 იანვარი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტო გადმოგვცემს, რომმელის ჯავშანსატანკო ძალების მეტი ნაწილი ამჟამად ჰაბესის ჩრდილოეთით იმყოფება.

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). საზღვაო სამინისტროს ცნობით, ინგლისის წყალქვეშა ნავებმა ხმელთაშუა ზღვაში მტრის 4 სავაჭრო გემი ჩასძირეს და 1 გემი სერიოზულად დააზიანეს. ჩაძირულია აგრეთვე ერთი სამხედრო ხომალდი, ხოლო მეორე დაზიანებულია.

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ავიაციამ დაბომბა მტრის თავმოყრილი ტრანსპორტი ზუარის რაიონში, მთელი რიგი სამხედრო ობიექტები ტუნისში და კუნძულ სიცილიაზე.

25 იანვრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და მიწაზე მოსპობილია მტრის 24 თვითმფრინავი.

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების სარდლობის ცნობით მოწინააღმდეგის შეტევა კუსელტიის ველში შეჩერებულია. მოკავშირეთა პატრულებმა, რომლებიც აქ მოქმედებენ, მაკრასში ხელთ იგდეს 130 ტყვე.

მასობრივი დაპაგიმრებანი პოლონეთში

სტოკჰოლმი, 26 იანვარი (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, გესტაპოელები მთელ პოლონეთში მასობრივად აპატიმრებენ პოლონელებს. მარტო ვარშავაში სამი დღის განმავლობაში შეიპყრეს და „გამოურკვეველი მიმართულებით" გაგზავნეს რამდენიმე ათასი მცხოვრები სქესისა და ასაკის განურჩევლად. დაპატიმრებულთა ბინებს მთლად არბევენ. დაპატიმრების დროს ჰიტლერელმა ბანდიტებმა ბევრი პოლონელი მოჰკლეს.

გერმანელი ოკუპანტები მრავალ პოლონელ გლეხს კატორღულ სამუშაოზე გზავნიან გერმანიაში. ამ ნიადაგზე ლიუბლინის ოლქში ამას წინათ რამდენიმე შეტაკება მოხდა გესტაპოელებსა და გლეხებს შორის, რომლებმაც უარი განაცხადეს ჰიტლერულ კატორღაში გამგზავრებაზე. ფაშისტმა ბანდიტებმა იარაღი იხმარეს, რის შედეგადაც ბევრი გლეხი იქნა მოკლული და დაჭრილი.

რეპრესიები ჰოლანდიელი სამღვდელოების წინააღმდეგ

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებმა საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს 100 ჰოლანდიელი კათოლიკე მღვდელი. დაპატიმრებულთა შორის არის კათოლიკური პრესბიტეროს ხელმძღვანელი

პარტიული ცხოვრება

ზუგდიდის რაიონული პარტორგანიზაცია უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლაში

ზუგდიდის რაიონში გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები მოწმობს, რომ საკოლმეურნეო სოფელი ღირსეულად ართმევს თავს იმ დიდ ამოცანებს, რომელებსაც მის წინაშე ომიანობის პერიოდი აყენებს. ბევრ კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წელი თვალსაჩინო ზრდის ნიშნით მიმდინარეობდა. ეს შეეხება არა მარტო მოწინავე კოლმეურნეობებს, არამედ ისეთ კოლმეურნეობებსაც, რომლებსაც არც მუშაობის ორგანიზაციით და არც მეურნეობრივად განსაკუთრებული წარმატებები არ ჰქონდათ. წინათ ასეთ კოლმეურნეობებს ეკუთვნოდნენ, მაგალითად, კოლმეურნეობები „ინგირი", „კოლხიდა". სამამულო ომის ვითარებაში კი მათ პარტორგანიზაციის დახმარებითა და ხელმძღვანელობით შესამჩნევად გაუმჯობესეს მუშაობა, მხარში ამოუდგნენ მოწინავე, წამყვან კოლმეურნეობებს.

გასულ წელს კოლმეურნეობებმა სიმინდი შემემიდროებულ ვადაში დასთესეს, სიმინდის თესვის გეგმა. რაიონში შესრულებულ იქნა 12 დღით ადრე, ვიდრე 1941 წელს, ამასთან ნათესმა ფართობმა 1.050 ჰექტარით გადააჭარბა წინა წლისას. სიმინდის ადება 1941 წელთან შედარებით 20 დღით უფრო ადრე დამთავრდა, ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 1 სექტემბრისათვის შესრულებული იყო 103,4 პროცენტით, 30 დღით ადრე, ვიდრე 1941 წელს, ამასთან სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჩაის 73 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

ცნობები ჩაის ფოთლის კრეფის შესახებ მოწმობენ, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა სრულმოსავლიანი პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 2.140 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.077 კილოგრამისა, ე. ი. გადაჭარბებით უფრო მეტი, ვიდრე 1941 წელს. მოწინავე კოლმეურნეობებმა ბევრად გადაჭარბეს ამ მაჩვენებლებსაც. მილიონერმა კოლმეურნეობამ „დამკვრელმა" ყოველ ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მიიღო 4.259 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეობამ წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარა 38 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთლის კრეფის ცნობილმა ოსტატმა, ორდენოსანმა ქეონია სარსანიამ მასზე მიმაგრებულ 0,8 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან სეზონის განმავლობაში მოკრეფა 26.668 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი და გამოიმუშავა 2.250 შრომადღე.

კოლმეურნეობებმა პატრიოტული აღფრთოვანებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. ტუნგოს ნაყოფი მოკრეფეს 326,8 ტონა, გეგმით გათვალისწინებული 232,5 ტონის ნაცვლად. ვადამდე გაანაღდეს ხორცის, ყველის, მატყლის, თივის, ტყავეულეულის სავალდებულო ჩაბარება. შეასრულეს მტკ-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთათვის ნატურალურად ნაბარ ნინდისა და სოიას ჩაბარების გეგმაც.

ამ მაჩვენებლებს განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ომის პირობებში, როდესაც სოფლის მეურნეობის მუშაკთა ნაწილი გაწვეულია წითელი არმიის რიგებში.

მთელ ამ მუშაობაში რაიონის პარტორგანიზაცია გამოდის როგორც დიდი მაორგანიზებელი ძალა, რომელიც სათავეში უდგას კოლმეურნეთა მასებს და რაზმავს მათ თავდადებული შრომისათვის.

მრავალმა კოლმეურნემ თავდადებული შრომით ღირსეულად შეასრულა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. სსრ კავშირის მიწსაბჭომმა ჩვენი რაიონის 12 მოწინავე ადამიანი დაჯილდოვა ნიშნით „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული".

კოლმეურნეები ერთსულოვნად უპასუხებენ ჩალხთა საყვარელი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** მოწოდებას და სწრაფად ეხმაურებიან ინიციატივას, აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. ტამბოველ კოლმეურნეთა კეთილშობილურ თაოსნობას ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ ჩვენი რაიონის კოლმეურნეები და ორი დღის განმავლობაში სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" შეწირულობის ფონდისათვის შეაგროვეს 2 მილიონზე მეტი მანეთი.

ამხანაგ სტალინის მისასალმებელ დეპეშათა პასუხად ჩვენი რაიონის კოლმეურნეებმა შეაგროვეს 5 მილიონ მანეთზე მეტი. ამავე დროს სახელმწიფო ფასებში სამრეწველო საწარმოებისა და ქალაქების მოსახლეობისათვის ჩაბარეს 3.000 ფუთი სიმინდი, 13.500 კილოგრამი ხორცი და კვების სხვა პროდუქტები.

რაიონის შშრომელები ახლა პატრიოტული აღფრთოვანებით აგროვებენ თანხებს, საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს" ასაგებად.

ჩვენი საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის დიდი **სტალინის** ისტორიული საკუთარმრო მოხსენებითა და ბრძანებით აღფრთოვანებული ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები თავდადებულ შრომით საფუძველს უყრიან 1943 წლის უხვ სამხედრო მოსავალს, რათა ფრონტს, ჩვენს ქვეყანას მისცენ სოფლის მეურნეობის უფრო მეტი პროდუქტები გერმანელ ფაშისტთა ურდოების სრული განადგურების დასაჩქარებლად.

ბ. ჩაჩიბაია

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი.

ჯავის რაიონული პარტიული კონფერენცია

ამ დღეებში ჩატარდა ჯავის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელშაც მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ჯავის რაიკომის მდივნის ამხ. ვ. სანაკოევის საანგარიშო მოხსენება რაიკომის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე. სარევიზიო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. ხარებოვი.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ვ. ჯაბიევმა, ტბილოვმა და სხვებმა, სულ 22 კაცმა.

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიონული კომიტეტის XV პლენუმი

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის XV პლენუმი, რომელზეც განხილულ იქნა ორი საკითხი: საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმასრულებლის ამხ. შ. ჭანუყვაძის საანგარიშო მოხსენება და ორგანიზაციული საკითხები.

ამხ. შ. ჭანუყვაძის საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები დ. მამულაძე, შ. ჩხაიძე, ნ. სურმანიძე, ა. მაკარაძე, ა. ბაკაძე, ვ. ბუაძე და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ფუტკარაძე.

პირველ საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

ამხ. შ. ჭანუყვაძის სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა გაათავისუფლა იგი საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმასრულებლად არჩეულ იქნა ამხ. ე. ტაკიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ჯაში და საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. თვალჭრელიძე.

ვ. რუსეიშვილი

ამხ. კ. ა. ფალავა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ [illegible] ამხ. კალე ფალავა. [illegible] ბოლშევიკური [illegible] ბრძოლებში. [illegible] ამხ. კალე ფალავა [illegible] ბოლშევიკ [illegible] ბრძოლებში [illegible] ბოლშევიკ [illegible] ბრძოლებში [illegible] ბოლშევიკ [illegible] ბრძოლებში